№ 230
ოთხშაბათი, 28 ოქტომბერი, 1898 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12 . . .	10	—	6 . . .	6	—
11 . . .	9	50	5 . . .	5	50
10 . . .	8	75	4 . . .	4	75
9 . . .	8	—	3 . . .	3	50
8 . . .	7	25	2 . . .	2	75
7 . . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

ივერია

№ 230
ოთხშაბათი, 28 ოქტომბერი, 1898 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ექიმი
კ. ი. გძელიშვილი
მიიღებს
ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.
(—ნ.—16)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

გ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასკევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. ზ. კარაშეტიანცი. 1—1$^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. 1$^1/_4$—2$^1/_4$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—6$^1/_2$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(წ)

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოლაშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-დგან 2-მდე და ნაშუადღევის 5-დგან 7-მდე.
მიხეილის ქუჩა № 32. (10—უ.—10)

მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულებისა გამო კოლეჟსკი რეგისტრატორობა: ტფილისის გუბერნიის გორის სამაზრო პოლიციის გამგეობის მოხელეს თავად ჯავახიშვილს და ფოთის ქალაქის უფროსს ფერმალს ტვარაძეს.

დამტკიცებულ იქმნენ ხარისხში ტიტულიარნი სოვეტნიკისა—ქუთაისის გუბერნიის ართვინის ოლქის მკურნალი გოცირიძე; კოლეჟსკი სეკრეტრისა—ტფილისის საგუბერნიო გამგეობის კანცელარიის მოხელე ზუბალაშვილი; უმაღლესად ნება დაერთო ქ. ტფილისის მეორე საბოქაულო ნაწილის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელს ნაცვლიშვილს მიიღოს და ატაროს მისის უმაღლესობის ბუხარის ემირის მიერ ნაბოძები ორდენი ბუხარის ვერცხლის ვარსკვლავისა მე 3 ხარისხის.

ახალი ამბავი

⁂ კავკასიის მთავარ-მართებლის გენერალ-ადიუტანტის თავ. გ. ს. გოლიცინის კახეთიდგან ტფილისში დაბრუნებას დღეს, 28-ს ოქტომბერს, მოელიან.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ კავკასიის მთავარ-მართებლის მიერ დანიშნული კომისია, ვიცე გუბერნატორის ვ. კ. სტეფანოვიჩის თავმჯდომარეობით, ქალაქის გამგეობის საქმეთა რევიზიას კიდევ სამს კვირამდე მოუნდება.

⁂ გუშინ, 27 ოქტომბერს, ტფილისის ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს ექსარხოსის ყოვლადსამღვდელოს წინაშე იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს ვერის სასაფლაოზედ ნიკოლოოზის ეკკლესიათან ოლგას ქუჩის მახლობლად ბალი იქმნას გაშენებული. ეს სასაფლაო უკვე 17 წელიწადია რაც გაუქმებულია, იქ მიცვალებულებს აღარ ასაფლავებენ. მას შემდეგ ეს სასაფლაო უყურადღებოდ არის დატოვებული. მრავალი მარმარილოს ქვები გაიტაცგამოიტაცეს კიდეც სასაფლაოდგან. ამიტომ ქალაქის გამგეობამ მოიწადინა აქ ბალის გაშენება. ამასთან გამგეობა ჰპირდება ხელი არ ახლოს სასაფლაოს ქვებს. სასაფლაო, სადაც ბალის გაშენებას აპირებენ, 7200 ოთხ. კ. საჟ. შეიცავს. გამოანგარიშებულია, რომ ბალის გაშენებას იქ 2093 მან. დასჭირდება.

⁂ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ კავკასიის მთავარ-მართებელმა დანიშნა განსაკუთრებული კომისია ტფილისის ვიცე გუბერნატორის სტეფანოვიჩის თავმჯდომარეობით, რომელმაც ქალაქის თვით-მმართველობის საქმეების და კასსის რევიზია უნდა მოახდინოს. კომისია ეს რამდენიმე დღეა უკვე შეუდგა საქმეს. რადგანაც ეხლა კომისიამ ქალაქის გამგეობის სასანიტარო-სამკურნალო განყოფილების რევიზია უნდა დაიწყოს, ბ-ნმა სტეფანოვიჩმა ამ საქმისათვის ტფილისის საგუბერნიო მკურნალი ბ-ნი ქიქოძე მიიწვია.

⁂ ტფილისის გუბერნატორს მ. ა. სულიევი ტფილისის ობოლთა სასამართლოს თავმჯდომარედ დაუმტკიცებია.

⁂ ერევნის ვიცე-გუბერნატორი თავ. ნაკაშიძე ტფილისიდგან ქუთაისში წავიდა.

⁂ თელავის მაზრაში ერთი საშინელი ამბავი გამოქვეყნებულა. ერთს სოფელში ყმაწვილ კაცს თავადისშვილს ეხლახან ცოლი შეურთავს და ქორწილის მეხუთე თუ მეექვსე დღეს აღმოუჩენიათ ამ სასიძოს გომურში დამარხული განგებ მოკლული კაცი, რომელიც ამ ორის წლის წინად უგზოდ დაიკარგა. ეხლა გამოჩნდა, რომ ეს კაცი მოუკლავს ახლად დაქორწინებულის თავადისშვილს ამ ორის წლის წინად და თავის გომურში ჩაუფლავს. მოკლულს ლამაზი ცოლი ჰყოლია და ეს ცოლი და ახლად დაქორწინებული ერთმანეთის მეგობრები ყოფილან, შეთქმულან და უბედური ქმარი საიქიოს გაუსტუმრებიათ. ეს ამბავი გამოუმჟღავნებია მოკლულის ცოლს, რომელსაც გაუცია ახლად დაქორწინებული თავადისშვილი, რადგანაც პირობა მიუცია, შენ შეგირთავო და ბოლოს-კი სხვა შეურთავს. მოკლულის ცოლსაც აუღია და ჯავრის ამოსაყრელად თავისის თავიც გაუცია და იგი თავადისშვილიც, რომელიც უკვე დაამწყვდიეს და გამოძიებაში მისცეს.

⁂ ტფილისის გუბერნატორმა მიჰმართა საქართველოს საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს და სთხოვა განკარგულება მოახდინეთ, რომ შემდეგში, როდესაც ტფილისის გუბერნიის რომელიმე სოფლის საზოგადოება განაჩენს დაადგენს სამრევლო საეკკლესიო სკოლების დაარსების შესახებ, ეს განაჩენი მაზრის უფროსს გაეგზავნოს ხოლმე.

⁂ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ოზურგეთმა შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ოზურგეთში არსებული სამოქალაქო სასწავლებელი სასოფლო სამეურნეო სასწავლებლად იქმნას გადაკეთებული. ეს საგანი ვიდრე საბოლოოდ გარდასწყდებოდეს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს გარდაეცა თავისის აზრის გამოსათქმელად. ბ ნმა მზრუნველმა უკვე განიხილა შუამდგომლობა და შეუძლებლადა სცნო სასწავლებლის გადაკეთება. ამის დასასაბუ-

ფელეტონი

რა აზრი აქვს ადამიანის ცხოვრებას?

(დასასრული *)

ამ ორ სხვა-და სხვა რწმენასა შორის, მომეტებულად სხვა-და-სხვა სარწმუნოებრივ და ზნეობრივ მოძღვრებას შორის, იმართება ბრძოლა, გამწვავებული შეტაკება-შეჯახება და ერთმანეთის გაკილვა-გაკიცხვა. თითოეული მათგანი რიხიანად და დაბეჯითებით გაიძახის: არა, ჩემი იდეალი, ჩემი შეხედულობა, ჩემი რწმენა სჯობიაო. ვინც სხვანაირად ჰფიქრობს, ან ვისაც სხვა რწმენა აქვს, ის თავისის გაუგებრობასა და სუსტ მოსაზრებას ამტკიცებსო. გაუგებრობას თავი დავანებოთ, იგი უსარგებლო და მავნე წევრია საზოგადოებისაო.

ავიღოთ, მაგალითად, კაცის უკვდავების და მისი განსაკუთრებულის დანიშნულების უარ-მყოფელი. როგორ ექცევიან, ან როგორ იხსენიებენ ისინი მოწინააღმდეგე რწმენის აღმსარებელთ? რა ღონისძიებას ჰხმარობენ თავისთა მოწინააღმდეგეთა დასამარცხებლადა და დასამცირებლად? „კაცის უკვდავების აღმსარებელნი და ქვეყნიურ ცხოვრებისა და ბედნიერების უარ-მყოფელნი,—ამბობენ და ამტკიცებენ ისინი: გამოუსადეგარ და უსარგებლო არსებად უნდა ჩაითვალნენ. ისინი მუდამ დღე ჯოჯოხეთ-სამოთხისა, ღმერთისა და ანგელოზის ფიქრში არიან; თავისს თავს, ფიქრისა, აზრისა და სურვილის მიმდინარეობის გამოკვლევა-შეგნებას მისდევენ; დარწმუნებულნი არიან-რა, რომ ყოველივე ქვეყნიური ამაო დ წარმავალიაო,—ზეცას მისჩერებიან, თვალს არ აშორებენ. ამასობაში ავიწყდებათ ქვეყანა, ქვეყნიური ცხოვრება, თანამოძმე. ფიქრადაც არ მოსდით, რომ კაცის უწმიდესი მოვალეობაა იმუშაონ ცხოვრების გასაუმჯობესებლად, მოძმეთა საშველად; ავიწყდებათ, რომ უნდა სცდილობდნენ ისე მოაწყონ კერძო და საზოგადო ცხოვრება, რომ ყველა საკმაოდ სარგებლობდეს ბედნიერებითა და სიამოვნებით. თუ ეს ასეა, მაშ ისინი არამც თუ სარგებლობას არ მოუტანენ საზოგადოებასა და კაცობრიობას, პირ-იქით, ხელს უშლიან, აბრკოლებენ ცხოვრების განვითარებასა და განკარგებას. ამ ჯურის ვაჟბატონნი, მოწინააღმდეგეთა აზრით, საზოგადოების უკიდურესს კონსერვატურ ელემენტს შეადგენენ. ისინი პროგრესის, ცივილიზაციის და კულტურის წინაალმდეგნი არიან. მიეცით ამათ რამდენსამე ხანს უფლება და ძალა და ჰნახავთ, როგორ მიანგრ-მოანგრევენ და გააფუჭებენ ყოველსავე იმას, რაც ასე გულმოდგინედ და ოფლის ღვრით უკეთებია კაცობრიობის მოწინავე ნაწილს. დიდის სიამოვნებით გააუქმებენ მეცნიერებას, ფილოსოფიას, ტეხნიკას და ამ ნანგრევზედ მარტოდ-მარტო ასკეტიკასა და ანგარიშმიუცემელ და შეუგნებელ რწმენას დაასკუპებენო“.

ასე ჰფიქრობენ და ამ აზრს ადგანან სკეპტიკნი და უკიდურესი რაციონალისტები, რომლებიც ყოველ საშუალებას და ძალ-ღონეს ჰხმარობენ გაჰფინტონ მათის შეხედულობით ცრუ და უნიადაგო რწმენა-ოცნება მისტიკებისა და ამით ნამდვილ გზაზედ დააყენონ კაცობრიობა. საგნად აქვთ ზეცისკენ მიპყრობილი თვალი ადამიანისა ზეცას მოაშორონ და ქვეყანა და ქვეყნიურ წეს-წყობილებას, სურვილ-მისწრაფებას მიაპყრონ. იმათი აზრით, ის, ვინც სააქაო ცხოვრებას, სააქაო სიამოვნებასა და შთამამავლობის გავრცელებას უარ-ჰყოფს, დამნაშავეა საზოგადოებისა და კაცობრიობის წინაშე, იგი მავნე და არა სასურველი წევრი და მოქალაქეა. მაგალითად, ვოლტერის აზრით, ბერები, რომლებიც ცოლ-ქმრობას უარ-ყოფენ, კაცის მკვლელებად და საზოგადოების მავნე წევრებად უნდა ჩაითვალნენ. რადა? იმადაო, ამბობს ვოლტერი, რომ იმათ შეუძლიანთ შთამომავლობა დასტოვონ, შეუძლიანთ-კი არა, მოვალენიც არიან, რადგანაც ადამიანი ისეა ბუნებისაგან შექმნილი და ისეთი ალღო აქვს ბოძებული. ისინი-კი, რომლებიც განზრახ წინ ელობებიან ბუნების კანონს და ცოლ-ქმრობას გაურბიან, ძალით ხელს უშლიან ადამიანის გაჩენასა და დაბადებას. მაშ ეს რა არის, კითხულობს ვოლტერი, თუ არ ჩუმი, მაგრამ მაინც ნამდვილი მკვლელობა?..

თანამედროვე (ამ ჟამად შეშლილია) ფილოსოფოსი ნიტშე მთლად უარყოფს ქრისტიანობას და უპირატესობას აძლევს კერპთ-თაყვანისმცემლობასაც-კი. რად შეიძულა ასე ნიტშემ ქრისტიანობა? იმისთვის, რომ იგი ჰქადაგებს მარტო ღვთის სურვილის და ნების აღსრულებას, იმისს დიდება-ვედრებას, თავის განწირვას, უანგარობას, თავისის კერძო ინტერესების უარ-ყოფას, ჰქადაგებს ძმობას, თანასწორობას, უძლურთა შებრალებას, ყოველისავე ქვეყნიურის: სიმდიდრისა, დიდების, პატივისა და სხვ. არარაობასა და წარმავალობას. ამ ფილოსოფოსის აზრით, ასეთი სარწმუნოება მარტო მონებს და უხასიათო ადამიანებს გაახშირებს. ის ასახიჩრებს ადამიანს: ფრთებსა ჰკვეცს ადამიანის ყოველს მისწრაფებას, სურვილს, ჰლაგმავს და ახშობს ადამიანის ნდომა-მისწრაფებას; უსუსტებს ხასიათს, თვით-მოქმედებას. მართლმორწმუნე ქრისტიანე მონაა—მონა ხელ-ფეხ შეკრული, გრძნობა-დახშული, გონებით ათასგვარ ცრუ-მორწმუნეობით შეკრულ-შებოჭვილი. მას თავისი პიროვნება, თავისი დამოუკიდებელი მისწრაფება დახშულ-დაკარგული აქვს. ნიტშეს აზრით, არც არის და არც იქნება ადამიანის ისეთი დამაუძლურებელი და გამაფუქსავატებელი სარწმუნოება, როგორიც ქრისტიანობაა. ქრისტიანობას არ შეუძლიან დაჰბადოს და აღზარ-

---

*) იხ. „ივერია“, № 209.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებლად ბ-ნი მზრუნველი იმას ასახელებს, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ჯერ კიდევ ეჭვის თვალით უყურებენ სააგრონომო განათლებას და მაგრე რიგად არ ეტანებიან მას. სხვათა შორის, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ სამოქალაქო სასწავლებლებში უმეტეს ნაწილად მოსწავლეთა რიცხვი 300—400 კაცს აღემატება, მაშინ, როდესაც სამეურნეო სასწავლებლებში იმის მეხუთედიც არ არის ხოლმე, როგორც, მაგალითად, 1893 წელს დაარსებულ ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში, სადაც სულ 65 კაცი სწავლობს, თუმცა იქ მოსწავლეებს სახელმწიფო ხარჯით ინახავენო.

⁂ 25 ოქტომბერს დაასაფლავეს ამას წინად დუელში მიღებულ ჭრილობისაგან გარდაცვალებული თავ. ილია დავითის ძე ხერხეულიძე. განსვენებული შეძლებული კაცი იყო, ცოლშვილი არა ჰყვანდა და სიცოცხლის დროს ბევრს ნათესავსა ჰზრდიდა თავის ხარჯით. თავისი ქონება უანდერძა ღარიბ ნათესავებს, მაგრამ განსვენებულმა არც საქველო საქმე დაივიწყა. 5,000 მანეთი მან შესწირა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელს საზოგადოებას, ხოლო 800 მან.—ქალაქ ტფილისის ღარიბების სასარგებლოდ. უკანასკნელ დროს განსვენებული თავად-აზნაურთა წარმომადგენლად იყო სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის ტფილისის განყოფილებაში. დასაფლავებას მრავალი ხალხი დაესწრო, განსვენებულის კუბოს რამდენიმე გვირგვინი ამშვენებდა.

⁂ იმ კომიტეტის წევრმა, რომელსაც მცხეთის ტაძრის შეკეთება და განახლება აქვს მინდობილი, დ. ზ. სარაჯიშვილმა შესწირა ამ დიდებულის ტაძრის განსაახლებლად 1,000 მანეთი.

⁂ 29 ოქტომბერს დანიშნულია კრება სამოსწავლო კომისიისა, რომელმაც უნდა განიხილოს ინსტრუქცია, რომელიც კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის კ. პ. იანოვსკის ბრძანებით იქმნა შედგენილი და რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს საბჭოს სამოსწავლო კომისიამ.

⁂ რადგანაც ქალაქის გამგეობას აზრადა აქვს გააფართოვოს სიონის ქუჩა, მან უკვე გამოისყიდა ამისათვის ქუჩის ორსავე მხარეს მდებარე მიწის ნაჭრები. გასაფართოებელი-ღაა მხოლოდ ის ნაწილი, სადაც სახელმწიფო ქონებათა გამგეობის მამულია სიონის ტაძრის გვერდზედ. გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობამ მიჰმართა ტფილისის გუბერნატორს და სთხოვა იშუამდგომლეთ ხსენებულ გამგეობის წინაშე ამ ადგილის დათმობის შესახებ ქუჩის გასაფართოებლად. გუშინვე ქალაქის გამგეობამ სთხოვა სინოდის კანტორას მხარი დაუჭიროს ამ შუამდგომლობას.

⁂ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოგზავნილი შვიდი ბეითალი ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდნენ. ტფილისის გუბერნატორმა ეს ბეითლები დანიშნა: ბ-ნნი კრასნოვსკი და შოკალსკი—ახალციხის მაზრაში, ბ-ნი იაკოვლევი—სიღნაღის მაზრაში, ბ-ნი უტრევიჩი—ახალ ქალაქის მაზრაში, ბ-ნნი კოსიგინი და ტერენეცკი-კლიშოვიჩი—ბორჩალოს მაზრაში. მხოლოდ ბეითალი ბ-ნი დობროტვორსკი-კი დანიშნულია ინკნევის სადგურში (ატენის ხეობაში), სადაც საცდელად სხვილ-ფეხ საქონელს ჭირს უცრიან.

⁂ ამ დღეებში ტფილისის საგუბერნიო ბეითალმა სახელმწიფო ხარჯით იყიდა რამდენიმე აქლემი და გაგზავნა ატენის ხეობაში იკნევის სადგურში, სადაც საცდელად საქონლის ჭირს აუცრიან მათ, იმის გამოსარკვევად—საქონლის ჭირი აქლემს გადაედება თუ არა, და თუ გადაედება—შეიძლება თუ არა აქლემსაც, როგორც სხვა სხვილ ფეხ საქონელს, ჭირი აეცრას.

⁂ პოლიციის მესამე განყოფილებაში პოლიციის მოხელემ ფარნა გაბელაიამ 26 ოქტომბერს შეიპყრო ერთი საეჭვო კაცი, რომელიც აღმოჩნდა ციმბირიდგან გამოქცეული ლუკა ანდრიას ძე გარსევანიშვილი (იგივე თუშურაშვილი). გარსევანიშვილი ყოფილა სოფ. მცხეთის გლეხი და ქურდობისათვის საარესტანტო განყოფილებაში ყოფილა გაგზავნილი ორის წლით. შემდეგ, რადგანაც მცხეთის საგლეხო საზოგადოებას არ მიუღია თავისს საზოგადოებაში, ციმბირში გაუგზავნიათ, საიდგანაც ტფილისს გამოქცეულა. გარსევანიშვილი დააპატიმრეს.

⁂ შაბათს, 31 ოქტომბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად საქმე ყვარელის სკოლის მასწავლებლად ნამყოფის აზნაურის დიმიტრი მოსეს ძე დუმბაძისა, რომელსაც მასწავლებელ-ქალის შმაკოვის მოკვლის განზრახვა ჰბრალდება.

ეს საქმე, როგორც მკითხველებს უთუოდ ეხსომებათ, განიხილა ოლქის სასამართლომ, ხოლო პალატაში გადატანილ იქმნა ოლქის სასამართლოს ბრალმდებელის რიბინის მიერ, რომელიც არ დაეთანხმა ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილებას, რომლითაც სულით ავადმყოფობისა გამო დუმბაძეს დანაშაული დასასჯელად არ ჩაეთვლებაო. თავის უკმაყოფილობის ქაღალდის ბოლოში, თავისს მოსაზრებათა შემდეგ, ბ-ნი რიბინი სწერს: „განვასაჩივრებრა ამა საქმეს ტფილისის სამოსამართლო პალატაში, ვსთხოვ მას გააუქმოს ოლქის სასამართლოს განაჩენი და სცნოს დუმბაძე დამნაშავედ სასჯელთა დებულების მე-2 ნაწ. მე-1455 მუხლის ძალით. ამასთან ვთხოვ სამოსამართლო პალატას იშუამდგომლოს ხელმწიფე იმპერატორის წინაშე ან სრულიად ეპატიოს დუმბაძეს დანაშაული, ან ისეთი სასჯელი დაენიშნოს, რომლითაც უფლებანი არ ჩამოერთმევა: ამ შუამდგომლობის უფლება დუმბაძემ მოიპოვა თავდადებულის სამსახურით საერო სწავლა განათლების საქმეში, იმ უბედურებანით, რომელიც მან გამოსცადა ინსპექტორის პავლოვის დროს ყვარელის სკოლაში შემოღებულ წეს-რიგის გაუქმების გამო და დასასრულ სამის წლის დაპატიმრებით, სხვათა შორის, ცხრა თვე დაპატიმრებული იყო-რა სულით ავადმყოფთა სახლში.

⁂ 25 ოქტომბერს ტფილისზედ გაიარეს და ერევნის გუბერნიაში წავიდნენ უცხო ქვეყნელი მოგზაურნი: ბელგიის ქვეშევრდომნი: იოსებ დე-პრე, ბარონ ლეონიდ-ლუნდენი, გრაფი პეტრდე-ლიდსკერი და ავსტრიის ქვეშევრდომი გრაფი გაბრიელ სტერნი. მოგზაურთ აზრათ აქვთ ამიერ-კავკასიის საისტორიო ნაშთები დაათვალიერონ.

⁂ საგუბერნიო ბეითალი ნ. ნ. კრიდნერი დღეს, 28 ოქტომბერს, ახალციხის მაზრაში მიდის, რათა დასახელებულ მაზრაში საქონლის ჭირის მოსასპობლად ღონის ძიება იხმაროს.

⁂ ტფილისის ნადეჟდის ბავშთა თავ-შესაფარის მზრუნველს მ. ვ. მასტიცკაიას ბაქოდგან ვაჭარ ბ-ნ თაგიევისაგან 300 მან. მიუღია ამ თავშესაფარის გასაფართოებლად.

⁂ როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, ამას წინად დუშეთში მოშხამულის სოკოსაგან გარდაცვალებულ შტაბს-კაპიტანს ლონგინოვს დარჩა მხოლოდ ერთი ძუძუთა ბავშვი. გაზ. „კავკასის“ სიტყვით, კავკასიის მთავარ-მართებელმა მხურვალე მონაწილეობა მიიღო ამ ბავშვის აღზრდის საქმეში. მათს ბრწყინვალებას უკვე მოუთხოვია დაწვრილებით ცნობები ამ ობლის შესახებ.

⁂ გერმანიის ქალაქ დრეზდენში, ამ მოკლე ხანს, არტურ ლეისტს დაუბეჭდია ახალი წიგნი, რომელიც სომხურს მწერლობას შეეხება.

⁂ „Рус. Лис.“-ი სწერს, მიწადმოქმედების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ კავკასიაში საიურისკონსულტო ნაწილის შტატები გადიდებულ იქმნას.

⁂ გაზ. „ტფ. ფურც.“-ს სიტყვით, ხელ-შეკრულობას ტფილისის ცხენის რკინის გზის გაცემის შესახებ საბოლოოდ ხელს მოაწერენ 30 ოქტომბერს, ხოლო მეორე დღეს ცხენის რკინის გზათა დირექტორი ბ-ნი რობი შეუდგება ახალის შტოს გაყვანას ვარდისუბანში. ეს შტო დაიწყება ოლგას ქუჩიდგან და მწყნეთის ქუჩაზედ გაივლის საუფლისწულო უწყების სარდაფამდე, ვერაზედ. ბ ნ რობის გამოანგარიშებით ეს შტო რვა დღის განმავლობაში იქმნება მზად, ასე რომ 9 ან 10 ნოემბერს ვაგონები უკვე სიარულს დაიწყებენ.

⁂ „ახ. მიმ.“-ა სწერს, რომ ამიერ-კავკასიის საგუბერნიო გამგეობათ წინადადება მისცეს იმ მკურ-

---

დოს „დიდ-ბუნებოვანი ადამიანი“.

მერე როგორი უნდა იყოს, ნიტშეს აზრით, „დიდ ბუნებოვანი ადამიანი“? ისეთი ადამიანი, რომელიც ყოველს თავის სურვილს, ნდომას, მისწრაფებას ფართო გზას აძლევს და აძლიერებს. პიროვნების დამოუკიდებლობას არაფერს არ უმორჩილებს და არაფრით არა ჰზღუდავს, ერთის სიტყვით, მისი სურვილი უსაზღვროა, გრძნობა დამოუკიდებელი, პიროვნება და გონება შეუბოჭველი. ამ „დიდბუნებოვან ადამიანს“ ნება აქვს მსხვერპლად შეიწიროს, გაჰყლეტ-გასრისოს ათასი და ათი ათასი კაცუნა, ოღონდ თავისი დიდი ბუნება დაიწვრილმანოს, არ შეასუსტოს. კაცობრიობის იდეალია ამ გვარ „დიდბუნებოვან ადამიანთა“ აღზრდა, რომლებსაც ყოველიფერი შეუძლიანთ, სუყველაფრის უფლება აქვთ. მათთვის არ არსებობს სიტყვა: „თანასწორობა“, „სათნოება“ და კეთილი“... ქრისტიანობა, ჰქადაგებს რა ძმობას, თანასწორობას, სიბრალულს, ნდომა-სურვილის შელაგმვას, ღვთის კანონთა და ბრძანების დამორჩილებას, მითი ხელს უშლის დიდბუნებოვან ადამიანთა გამრავლებას; მაშასადამე, ხელს უშლის კაცობრიობის იდეალის განხორციელებას... და თუ ეს ასეა, მაშ შორს სარწმუნოება მონებისაო! შორს ქრისტიანობავო!... აი, რა უკიდურესს მიმართულებას ადგება კრიტიკა სკეპტიკ-რაციონალისტებისა.

რას ამბობს მეორე რაზმი? სარწმუნოების წარმომადგენელნი და სპირიტუალისტები ცხარედ ეკამათებიან ასეთ ,,ულმრთო‘‘ და ,,წამწყმედელ‘‘ აზრებს. იმათის აზრით, ადამიანი უსარწმუნოებოდ, უსათნოებოდ მხეცზედ უარესი იქმნებოდა. მისი ცხოვრება ჯოჯოხეთურ გეენიად გადაიქცეოდა. გაქრებოდა, მოისპობოდა ქვეყანაზედ სიბრალული, სათნოება, სამართალი და, ძმობა; პირიქით გამეფდებოდა ბოროტი, დაუნდობლობა, ერთმანეთის წეწვა გლეჯა, სისხლის ღვრა, გარყვნილება. ეხლა თუ ჩვენდა საბედნიეროდ ეს ასე არ არის—სარწმუნოებისა და სათნოების მეოხებით. ის, ვინც სარწმუნოებას უარს-ყოფს, სათნოებას და ღვთის კანონის დამორჩილებას სასაცილოდ იგდებს, ყოველის სურვილის და ნდომის დაკმაყოფილებას ჰქადაგებს,—ის კაცობრიობის მტერია, მისი დამღუპველ-გამრყვნელია; მისგან დანთხეული შხამი ათასობით სწამლავს ადამიანის სიცოცხლეს. უმჯობესია, რომ ასეთ, მართალს გზას გადამცდარი და გონება-გრძნობა გარყვნილი, ეშმაკის თანაზირია, როგორც მავნე და ხორცმეტი, მოიჭრას და გადაგდებულ იქმნას. შუა საუკუნოებში ასეთი აზრი განხორციელებაში მოჰყავდათ კიდეც. რამდენი, ურწმუნო კი არა, სრულიად უვნებელი და პატიოსანი თავისუფალი მოაზრე დაუწვამთ კოცონზედ! რამდენს უდროოდ მოუსპობია ახალგაზდა და ნაყოფიერი სიცოცხლე! ,,წმინდა‘‘ ინკვიზიცია, ,,ბართლომეს საღამო‘‘, იეზუიტების ათასი სხვა-და-სხვა გვარი ოინი—ყოველივე ეს ნაყოფი იყო ზემოხსენებულის შეხედულობისა.

სად არის სიმართლე? რომელ აზრს და მოძღვრებას უნდა მიემხროს ადამიანი? სად უნდა ეძიოს კაცმა ცხოვრების გამოცანის ახსნა და აზრი არსებობისა? რითი და რა ღონის ძიებით უნდა დარწმუნდეს იგი, რომ ამა-და-ამ მოძღვრებაშია სიმართლე და ჭეშმარიტებაო? მატერიალიზმი თუ სპირიტუალიზმი? რომელი მათგანია მართალი და დასაჯერებელი?

ამის ახსნა-განმარტებას დიდი ხანია სცდილობს კაცობრიობა, მაგრამ ჯერაც გადაჭრილი და ყველასათვის ცხად და დასაჯერებელ დასკვნამდის ვერ მისულა. ფილოსოფია, სარწმუნოება, მეცნიერება, ლიტერატურა ეს რამდენიმე ათასი წელია ფარ-ხმალს იმტვრევენ, ჰმეცადინეობენ, უკვირდებიან, არღვევენ, ჰშლიან და ისევ აშენებენ, მაგრამ კაცის ცხოვრების აზრი, მისი საიდუმლოება, მისი თავი და ბოლო ვერ გაუგიათ, უტყუარის შეგნების სხივით ვერ გაუნათლებიათ. ცალკ-ცალკედ ისინი საკმაოდ ჰხსნიან კერძო საგნებს; საკმაოდ ნათელი მოჰფინეს კაცის შინაგან და გარეგან თვისებათ; შეიგნეს კანონები ადამიანის აზროვნებისა, მისის სურვილისა და გრძნობების მიმდინარეობა; დაწვრილებით შეისწავლეს ადამიანის სხეული და უტყუარად იციან აგებულების ყოველის ძარღვის მნიშვნელობა. ბუნებაც საკმაოდ შესწავლილი აქვთ მათ. ბევრი რამ წინად გაუგებარი და აუხსნელი, ახსნეს და გამოარკვიეს, მხოლოდ აზრი არსებობისა, საბოლოო საგანი ვერ გამოიცნეს, ვერ გაიგეს, ე. ი. ისეთი რამ ვერა სთქვეს, რომ ყველასათვის დასაჯერებელი და უცვლელ-უეჭვო შესაწყნარებელი ყოფილიყო. თუ აზრი არსებობისა გაგებული არ არის და საბოლოო საგანი წყვდიადითაა მოცული, მაშ რად უნდა გაგვიკვირდეს არეულ-დარეულობა სხვა-და-სხვა რწმენისა, მოძღვრებისა, მისწრაფებისა, ცხოვრების იდეალის დასახვისა, რომელიც სუფევდა და ჰსუფევს და იქნება კიდეც კაცობრიობაში. ეპიკურეიზმი და სტოიციზმი; ეკლექტიზმი და პლატონიზმი, ბუდიზმი და ისლამი; სპინოზა და გობბესი; ტოლსტოი და ნიტშე; ვოლტერი და დანტე; მარქსი და რომის პაპი;—ყველა მათგანს თავისებურად ესმის აზრი ცხოვრებისა, ყველას თავისებური შეხედულება აქვს ადამიანისა და ქვეყნიერობის შესახებ, ყველას თავიანთი ცხოვრების იდეალი აქვს დასახული და ამასთან ყველა მათგანს ჰყავს მიმდევარი, მოწაფენი, მაგრამ არც ერთი მათგანი კერძოდ არ აკმაყოფილებს ადამიანის სულის კვეთებას, ვერა ხსნის ცხოვრების საიდუმლოებას, ვერ აუფრიალებია დროშა ჭეშმარიტებისა, და უტყუარობისა... ქრისტიანობაო? იკითხავთ. ქრისტიანობამ მართლა ახსნა ამოცანა ადამიანისა და ქვეყნის არსებობისა, მაგრამ აქაც მოხდა განხეთქილება. გაჩნდა სხვა-და-სხვა მწვალებლობა, რომლებიც ერთმანეთს ეკამათებიან, ჰკიცხავენ და ერთმანეთს უარ-ჰყოფენ. რასაც ერთი უარ-ჰყოფს და მომაკვდინებელ ცოდვად მიაჩნია, მეორე იმას უტყუარ ჭეშმარიტებად აღიარებს; რითიც ერთი ამაყობს, მეორე ამას სამარცხვინოდ სთვლის. კატოლიციზმი და პროტესტანტიზმი, კვაკერები და პიეტისტები, რუსეთის მწვალებელნი და რომელიმე სხვა მწვალებლობა—ყველას თავისებურად ესმის ქრისტიანობა, მაშასადამე, ყველა ამათგანს ცხოვრებისა და ზნეობის თავისებური იდეალი აქვს წინ დასახული...

წლები გადის... მოდგმა სცვლის მოდგმას... საწყალი ადამის შვილი-კი ჰფიქრობს, წვალობს, უკვირდება თვისს თავს და ქვეყნიერებას, მაგრამ ჯერაც-კი აზრი არსებობისა ვერ გამოუცვნია და უშიშარი ნავთსაყუდარი ვერ უპოვნია. იგი მუდამ ეჭვსა და გამოურკვეველს მდგომარეობაშია და იმედ-გადალეული, გონება-სულიერად მოღალულ-მოქანცული დღესაც ურწმუნოდ გაიძახის: ,,მითხარით, აბა რა აზრი აქვს ადამიანის ცხოვრებასაო‘‘?..

ივ. ვართაგავა

ნალებს, რომელნიც მათდა რწმუნებულს გუბერნიებში სცხოვრობენ, ხომ არავინ მოისურვებს მათგანი ბუხარაში წასვლას შავის ჭირის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მონაწილეობის მისაღებად.

⁂ გაზ. „კავკასი“ სწერს: „ჩვენ შევიტყეთ, რომ ცხენის რკინის გზათა უსახელო საზოგადოება შეუდგება ამ დღეებში კვლევა-ძიებას ცხენის რკინის გზის გასაყვანად ავლაბრიდგან ნავთლუხამდე, ქალაქის საყასბომდე. ჯერ-ჯერობით აზრადა აქვთ გაიყვანონ ცხენის რკინის გზა კახეთის მოედნიდგან ნავთლუხამდე“.

⁂ გაზ. „კავკასი“-ს სწერენ, რომ ამას წინად ვიღაც ბოროტ-გამზრახველთ გაჰქურდეს გორის მაზრის სოფ. ნადარბაზევის მეორე ეკკლესია და წაიღეს იქიდგან ფული და სხვა და-სხვა ნივთები.

⁂ ქალაქის საბჭოს მკურნალმა უასუმოვმა აღმოაჩინა, რომ ზეყან ქობულოვისა და კონი ყუყეევის კალბასის დუქნები, რომელნიც მადათოვის კუნძულზედ არიან, არა სანიტარულ მდგომარეობაშია, რის გამოც შეამდგომლობა აღძრულა პოლიცმეისტერის წინაშე ამ დუქნების გაუქმების შესახებ.

◆ ◆

წერილი ტობანიერიდგან

დადგა თუ არა ოქტომბერი, მოჰყვა მაშინვე სიცივეები და ცუდი ამინდები; თითქმის ერთი კვირა შარშანდელივით გამუდმებული სწვიმდა. ამის გამო მდ. რიონი ნაპირებიდგან გადმოვიდა, ახლო-მახლო მდებარე სოფლები ჩვეულებრივ წარეცხ-წასილა, ბევრგან სიმინდის ყანები გაარხა, ბორნები და ნავები დაიტაცა და ათი დღის განმავლობაში მისვლა-მოსვლა არა თუ ეტლებისა, ცხენოსნებისაც-კი შეაჩერა. პატარა მდინარეებიც საშინელი სანახავი იყო: ზოგიერთი იმათგანი ისე მოდიდდა, რომ ძირებიან ხეებს მოათრევდა; ჩვენმა გიჟმაჟმა ყუმურმაც არ დაგვაკლო ხელი, ჩვეულებისამებრ გადმოითამაშა და ცუდი დღე დააყენა ჩვენს ბაზარს. იგი არ მოერიდა არც მჭედელს, არც მეფურნეს და არც მიკიტანს. მაგრამ სწორე უნდა სთქვას კაცმა, ზარალთან ერთად სარგებლობაც ბევრს მისცა ყუმურმა: ბევრი უსუფთაო დუქანი დაასუფთავა და თან თაგვებიც ბევრი დაახრჩო. ღმერთმა დალოცოს ეს ყუმური, რომ წელიწადში ერთხელ მაინც დაათვალიერებს ჩვენს დაუსუფთავებელს ბაზარს და სოფლის სამმართველოს ეზოს, თორემ აქაური სანიტარები ყურებსაც არ იბერტყენ ამისთვის.

ხალხი მეტად დაღონა ამ ერთი კვირის უამინდობამ, რადგან იმ დროს ყველა რთველისათვის ემზადებოდა. 8 ოქტომბრიდგან დადგა მშვენიერი თბილი ამინდი; ოჯახში ბავშვიც-კი არ დარჩენილა, ყველანი ყანებში გაიფანტნენ ჭირნახულის შესაგროვებლად. ეს ორი კვირაა ურმების ჭრიჭინი შეუწყვეტელია; ყველა ეზიდება სახლში თავისის შრომით მოწეულს წლიურ სარჩოს. სიმინდისა და ლობიოს მოსავალი წელს აქეთ ძლიერ კარგია, ყოველმა კაცმა გაამსო სასიმინდეები და ბეღლები. ღვინომ-კი გვიღალატა წელს. შარშანაც ცოტა იყო ღვინო, მაგრამ წელს სრულებით არა მოსულა-რა. წინად აქეთ თითოეულს ხეზედ ოთხი გოდორი ყურძენი მოიკრიბებოდა, წელს-კი საჭმელი ყურძენიც არ იყო, ისე ერთიანად ახმა ვენახები. წინად ყველა ოჯახიდგან გაიყიდებოდა ერთი-ორი საპალნე ღვინო, რითაც სხვა-და-სხვა მოთხოვნილებას აკმაყოფილებდნენ, ამის შემდეგ-კი მარტო სიმინდის იმედი უნდა ვიქონიოთ, მაგრამ აღარც ამას აქვს რიგიანი ფასი. დადგა შემოდგომა და დაიწყეს თუ არა სიმინდის ტეხა, ჩარჩებიც მაშინვე გაჩნდნენ სოფლებში; გაიკეთეს ჩალის ქოხები გზის პირად და დაიწყეს საწვრილმანოებით ვაჭრობა. მაგრამ ფულს როდი ღებულობდნენ ისინი, სიმინდის ტაროებზედ სცვლიდნენ თავიანთ საქონელს. ორ კაპეკიან ნივთში თუთხმეტ ოც ტარო სიმინდს ართმევდნენ უვიც სოფლელებს, უფრო-კი ბავშვებს და დედაკაცებს. ჩარჩ-მიკიტნებს „მეშარმანკეც“ მოეწვიათ თავიანთ ქოხებში და თან ორი-სამი ბოთლი არაყიც ჰქონდათ შენახული; მუშტარს გამოართმევდნენ რამდენიმე კალათს სიმინდის ტაროს და ამის ნაცვლად ცოტაოდენს არაყს დაალევინებდნენ „შარმანკის“ ხმაზედ. ამგვარად თითოეულმა ჩარჩმა შვიდი-ათი ურემი სიმინდი იშოვა სხვისი ოფლით მოწეული. ამის შესახებ საჩივარი მიართვა გუბერნატორს აქაურმა აზნაურმა ივლიანე შარაშანიძემ და გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა—აკრძალეთ ასეთი ვაჭრობაო, მაგრამ სანამ ამ ბრძანებას შეასრულებდნენ, ჩარჩებმაც მოასწრეს სიმინდის ბლომად შეგროვება და თავიანთ სახლში აზიდვა.

წინად ქურდობამ იკლო აქ, მაგრამ ეხლა ისევ იჩინა თავი. ქურდებმა ისარგებლეს იმით, რომ ხალხი ყანებში იყო გაფანტული და ბევრი ცხენები მოიპარეს. აქაური ხევისთავები თუმცა მეტად გულმოდგინეთ ეკიდებიან თავიან მოვალეობას, ქურდიც ბევრჯელ აღმოაჩინეს და გადასცეს პოლიციის ბოქაულს, მაგრამ იქ ისეთი პატრონები გამოუჩნდნენ მათ, როგორიც არიან, მაგალითად, სოფლის ვექილები, რომ მეორე დღესვე ეს გაგზავნილი ქურდი ისევ არხეინად დასეირნობდა ხოლმე სოფელში. ქურდებს გაგონილი აქვსთ ცრუ ვექილებისაგან, რომ კლიტე თუ არ გასტეხე, უიმისოდ დიდს სასჯელს არ დაგადებენო; ამიტომ კარებს ეხლა ხელს აღარ ახლებენ ხოლმე ისინი, სასიმინდეს იატაკს გამოუნგვრევენ ქვეშიდგან და რამდენიც სურთ, იმდენს წაიღებენ სიმინდს.

ამას წინად მამასახლისმა ხალხი შეჰკრიბა აქ და მთავრობის მოწყრილობა გამოუცხადა იმის შესახებ, რომ საზოგადოება მიიღებს თუ არა ამ სამი წლის წინად ქურდობის გამო გაგზავნილს ფ. ბუბუტეიშვილს, რომელსაც ეხლა ვადა უსრულდება საპატიმროში ყოფნისაო.

საზოგადოების უმეტესმა ნაწილმა არ მოისურვა ბუბუტეიშვილის დაბრუნება სოფელში.

აქაურ სამმართველოს და სასწავლებლის შენობების მახლობლად გამწკრივებულია რამდენიმე დუქანი. ხალხს ეშინია, ვაი თუ ცეცხლი გაუჩნდეს რომელსამე დუქანს და ეს ცეცხლი სიახლოვის გამო სასწავლებლის შენობაზედაც გადავიდესო. ასეთს შიშს საფუძველიც აქვს, რადგან ზოგიერთი დუქანი 4—5 საჟენის მანძილზედ არის სასწავლებლიდგან. საზოგადოების მიერ ამორჩეულმა კაცმა დიმიტრი კაალაძემ საჩივარი შეიტანა აქაურს სოფლის სასამართლოში და ითხოვა—მედუქნეებმა გადაიტანონ თავისი დუქნები 50 საჟენის დაშორებით მაინცაო. მაგრამ ამ საქმის გარჩევას არა ეშველა-რა. დიმიტრი კაალაძე ექვსჯერ დაიბარეს და მოიყვანეს სასამართლოში, თითონ მოსამართლეები-კი არაოდეს არ გამოცხადნენ; ხან ერთი არ მოვიდა, ხან მეორე და ხან მესამე; ბოლოს სიმინდების ტეხის დრო დადგა და ვიღა მოიცლიდა. თქმა არ უნდა, მედუქნეების დიდი ხათრი უნდა ჰქონდესთ ჩვენს მოსამართლეებს. ცეცხლს რომ თავი დავანებოთ, ზნეობრივადაც ცუდათ მოქმედობს მოსწავლეებზედ დუქნების სიახლოვე და სოფლის მოსამართლენი ვალდებულნი არიან ამ გარემოებას მაინც მიაქციონ ყურადღება.

ვლადო ბზვანელი

◆ ◆

რუსეთი

აზრადა აქვთ იანვარში მოახდინონ ფიზიკის მასწავლებელთა კრება. კრება მოსკოვში იქმნება მიწვეული.

— მომავალის წლის 26 მაისს შესრულდება სწორედ ასი წელიწადი იმ დღიდგან, რა დღესაც რუსეთის გამოჩენილი და სახელოვანი პოეტი ა. ს. პუშკინი დაიბადა. აზრადა აქვთ რუსეთში ეს დღე იდღესასწაულონ. უკვე შესდგა მოსკოვში პროფესორის ა. ი. კირპიჩნიკოვის თავმჯდომარეობით განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშავოს დღესასწაულების პროგრამა და საზოგადოდ ეს საქმე მოაწყოს. კომისიამ უკვე მიჰმართა სხვა-და-სხვა სამეცნიერო საზოგადოებათ და პროფესორებს და სთხოვა მონაწილეობა მიიღონ მომავალს დღესასწაულებში. 26 მაის სგარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი პოეტის სულის მოსახსენებლად; შემდეგ პოეტის სახსოვრად გაჰმართავენ გამოფენას. ნაშუადღევის 2 საათზედ უნივერსიტეტის დარბაზში სადღესასწაულო კრება იქმნება გამართული. ამ კრებაზედ სხვა-და-სხვა საზოგადოებათა და დაწესებულებათა წარმომადგენელნი წაიკითხავენ სიტყვებს და ადრესებს. 6 საათზედ სადილი იქმნება გამართული. 28 ოქტომბერს უნივერსიტეტისავე დარბაზში მოხდება მეორე კრება, რომელზედაც წაიკითხავენ სხვა-და-სხვა რეფერატებს. გაზ. „Спб. Вѣд.“ იუწყება, რომ აზრადა აქვთ ა. ს. პუშკინს პეტერბურგში ახალი ძეგლი დაუდგან, იმ ადგილს, სადაც დანტესთან დუელი ჰქონდა და სადაც პოეტი სასიკვდილოთ დაიჭრა.

◆ ◆

უცხოეთი

საფრანგეთი. დრეიფუსის მომხრე გაზეთები ამტკიცებენ, რომ საკასაციო პალატამ ბევრი კაცი სცნო დამნაშავედ, რომელთაც ასე თუ ისე რაიმე მონაწილეობა მიუღიათ დრეიფუსის საქმეში. ეს გაზეთები მარტო დრეიფუსის განთავისუფლებას როდი თხოულობენ, არამედ იმათ დასჯასაც, რომელთაც ვითომც კანონი ბოროტად მოიხმარეთ და სიმართლის აღდგენას ხელს უშლიდნენ.

ხსენებულ გაზეთების აზრით, უველაზედ ადრე დანაშაულობა ჩაიდინა პატი-დე-კლამმა, რომლის წყალობითაც დრეიფუსი ისეთს განსაცდელში ჩავარდეს, რომ მეთოთხმეტე საუკუნეს მოაგონებს კაცს. დამნაშავე არის არხივარიუსი გრიბლენი, რომელიც პატი-დე-კლამს ხელს უწყობდა. დამნაშავეა გენერალი მერსიე, მან სასამართლოს ისეთი საბუთის ქაღალდები გარდასცა, რომელიც არ იცოდნენ არც დრეიფუსმა და არც მისმა ვექილმა. მერსიეს უკანონო მოქმედება იცოდნენ გენერლებმა ბუადეფრმა და გონზმა; ესენი ორივენი დამნაშავენი არიან, მით უფრო, რომ იმათ დაიფიცეს კიდეც,—დრეიფუსი კანონიერად და სამართლიანად იქმნა დასჯილიო. დამნაშავეა გენერალი ცურლინდენი, რომელმაც წერილით აცნობა სარიენს, რომ 1894 წელს სასამართლოსთვის საიდუმლო ქაღალდები არ გარდაუციათო. დამნაშავეა გენერალი პელიე, რომელმაც ფიცით აჩვენა, რომ გამამტყუნებელი ოქმი, რომელიც „Siècle“-ში დაიბეჭდა, ნამდვილი არ არის, ყალბიაო, მაგრამ ბარდმა-კი დაამტკიცა ამისი სინამდვილე. იგივე პელიე ესტერგაზს „მეირფესს მაიორს“ ეძახდა და ძლიერ სწყალობდა, როდესაც ამ „კავზაკს და მოღალატეს“ ნამდვილს სახელს დაუმახსხვბდა ვინმე. მან ძალა დაატანა რავარის გამამტყუნებელი ოქმი ესტერგაზის სასარგებლოდ შეედგინა და პიკარის წინააღმდეგ. ბუადერფი, გონზი და კავენიაკი კიდევ იმითი არიან დამნაშავენი, რომ ანრის ყალბი ქაღალდი ნამდვილ საბუთის ქაღალდად გამოაცხადეს და ამ რიგად საზოგადოებას გზა-კვალი აუბნიესო.

ახალმა სამინისტრომ კარგად უნდა იცოდესო, დასძენენ ხსენებული გაზეთები,—რომ ჩვენს უფლებას ჩვენ არასოდეს არავის არ დავუთმობთო.

— დამატებითი გამოძიება დრეიფუსის საქმის შესახებ რა წესით და რაგვარ მოხდება, ჯერ გამორკვეული არ არის. ამბობენ, რომ სასამართლო განსაკუთრებულს კამისარს დანიშნავს ამ საქმის გამოსაძიებლადო. მეორეს მხრივ იმასაც ჰფიქრობენ, რომ სასამართლო თითონვე გამოიძიებს ამ საქმეს, ვითარცა გამომძიებელი კომისიაო. კომისარსაც და კომისიასაც განუსაზღვრელი უფლება ჰქონიათ კანონით მინიჭებული: თავისის უფლებით ერთსაც და მეორესაც შეუძლიანთ, ვისიც უნდა, იმის სახლი გასჩხრიკოს, მთავარმა შტაბმა საიდუმლო ქაღალდების მიცემის უარი თუ განაცხადა, ერთსაც და მეორესაც შეუძლიან რკინის შკაფი გასტეხოს და სხ. ყოველი ქაღალდი, რომელსაც საკასაციო სასამართლო მოითხოვს და არ მისცემენ, კანონიერს დამამტკიცებელ საბუთის ძალას ჰკარგავს თურმე.

დამატებითი გამოძიებას სამგვარი შედეგი ექმნება: საკასაციო სასამართლოს შეუძლიან დრეიფუსი დამნაშავედ იცნოს და ამის გამო საქმის ხელ-მეორედ გადასინჯვა აღარ მოახდინოს; 1894 წელს ამ საქმის შესახებ დადგენილს განაჩენში იქნება მან რაიმე შეცდომილება იპოვნოს და ამიტომ ეს საქმე ახალს სამხედრო სასამართლოს გარდასცეს; იმასვე შეუძლიან სასამართლოს გარდაწყვეტილება გააუქმოს და დრეიფუსი განთავისუფლოს, თუ დარწმუნდება, რომ იგი უსამართლოდ არის დასჯილი.

—

იტალია. პურის სიძვირემ წელს გაზაფხულზედ იტალიის ბევრს ადგილას ხალხის უკმაყოფილება გამოიწვია. იტალიის მთავრობა იძულებული შეიქმნა საზღვარ-გარეთიდგან შემოტანილს პურზედ ბაჟი გაუქმებინა დროებით და ამგვარად აღელვებული ხალხი დაამშვიდა. მაგრამ მთავრობას ეხლა ისევ დაუწესებია პურზედ ბაჟი, რის გამოც პურის ფასს უცებ აუწევია. გაზეთების სიტყვით, ზოგან ისე გაძვირებულა პური, როგორც გაზაფხულზედ იყო და ზოგან უფრო მეტადაც. ამის გამო ზოგნი საფუძვლიანად ჰშიშობენ, ვაი თუ პურის სიძვირემ არეულობა მოახდინოს იტალიაში. ზოგიერთი გაზეთი ურჩევს მთავრობას, რომ პურის ბაჟი სამუდამოდ გააუქმეთ და ამხანაგობანი—საზოგადო ფურნეები დააარსეთო.

—

შეერთებული შტატები. როგორც გაზეთები მოგვითხრობენ, ესპანია-ამერიკის ომის დროს შტატების ფლოტს გასაოცრად ცოტა ზარალი უნახავს: მტერს მოუკლავს ამერიკელების სულ 16 კაცი და 74 დაუჭრია. მანილასთან შეტაკების დროს ამერიკელების მხრივ არც ერთი კაცი არ მომკვდარა თურმე; მხოლოდ ცხრა დაჭრილა, მაგრამ ისე სუბუქად, რომ მეორე დღესვე ისინი ყველანი სამსახურს ასრულებდნენ. სანტ იაგოსთან მხოლოდ ერთი ამერიკელი მოუკლავთ და თერთმეტი დაუჭრიათ, მაგრამ უკანასკნელნი უკვე მორჩენილან და ისევ დაბრუნებულან სამსახურში. სანტ-იაგოს სიმაგრების თავს დასხმის დროს ერთი ამერიკელი ზღვაოსანი მოკვდა და თერთმეტი დაიჭრა. ამ უკანასკნელთაგან 7 კაცი ეხლაც სამსახურშია. გვანტანომასთან ექვსი ზღვაოსანი მოუკლავთ და თექვსმეტი დაუჭრიათ, რომელთაგან ცხრა კაცი მორჩენილა და დაბრუნებულა სამსახურში. ჩიენფუეგოსში ერთი კაცი მოუკლავთ და თერთმეტი დაუჭრიათ; უკანასკნელთაგან ცხრა ისევ მიუღიათ სამსახურში და ერთი ჭრილობისაგან გარდაცვლილა.

◆ ◆

სასამართლოს მატიანე

ყალბის ფულის მოჭრის საქმე

26 ოქტომბერს ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე 8 კაცისა, მილიციის პრაპორშჩიკის ასკერ ზეინალოვისა, ტფილისის მოქალაქის ისმაილ ზეინალოვისა და სხვათა, რომელთაც ჰბრალდებოდათ ყალბის ფულის მოჭრა. ამ საქმის გარემოება შემდეგია. 1895 წლიდგან მთელ ამიერ კავკასიაში, ქალაქებსა და სოფლებში გავრცელდა 5 მანათიანი და 10 მანათიანი ყალბი ფული ქაღალდისა. ამბობდნენ, რომ ამ ფულს ტფილისში სჭრიანო და გამოძიება ამა საქმისა ჩაჰბარდა ბოქაულს გლებოვს. გლებოვმა თავის აგენტების შემწეობით შეიტყო, ვინ ასაღებდა ყალბს ფულსა და მერე ჰყიდულობდა კიდეც ამ ფულს 100 მანათის ყალბ ქაღალდებს 30 მანათად და ამ გვარად შეისყიდა 5 ათასი მანათი ყალბი ფული. მერე ისიც შეიტყო, რომ ყალბს ფულს სჭრიდნენ ძველ დამოვნის ქუჩაზე, ასკერ ზეინალოვისა და ნიკ. დიმოს ფოტოგრაფიის ქარხანაში.

ჯერ გამომძიებელთან და მერე სასამართლოში მოწმე ნიკ. დიმოგა-

მოტყდა ყველაფერში, დაწვრილებით ასწერა, როგორა და ვინ სჭრიდნენ ფულსა და დაასახელა ყველა დამნაშავენი.

სასამართლოში დაბარებული იყო 160 მოწმე და ამათში მხოლოდ 46 კაცი გამოცხადდა. მათ შორის არ იყო მოწმე ბოქაული გლებოვი. ბრალდებულთა ვექილებმა ოპოჩინინმა, ტურკევიჩმა და როხლინმა სთხოვეს სასამართლოს საქმის გარჩევა გადასდეთო. სასამართლომ ეს თხოვნა არ შეიწყნარა და შეუდგა საქმის გარჩევას. რადგანაც უკვე გვიან იყო, საქმის გარჩევა მეორე დღისათვის გადიდო.

დამაკვირდი

ქონებრივად უზრუნველად-ყოფა ბედნიერად ყოფნას არა ჰნიშნავს.

ბ. დ—შვილი

* * *

სჯობს სიგლახაკე ცუდის გამდიდრებასა და სნეულობაჲ ბოროტად მრთელობასა.

ნიკოლოოზ ტფილელი

* * *

არასოდეს არ ინანებს კაცი, თუ ადრე ადგა ძილისაგან და ცოლი ადრე შეირთო.

მ. ლიუტერი

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ეს რამდენიმე თვეა, რაც ლაპარაკი დაიწყეს შესახებ იმისა, რომ პარიჟსა, ბრიუსელსა და ბერლინს შორის ტელეფონი გაემართოთო. ჯერ ბრიუსელსა და ბერლინს შორის გაიმართება ტელეფონი და მერე ბერლინიდგან პარიჟამდე. ტელეფონის მავთული იმდენად მსხვილი და მაგარი იქმნება, რომ სხვა-და-სხვა და მიზეზებისა გამო არ გაწყდეს და ტელეფონით ლაპარაკი არ შესწყდეს ხოლმე. ასეთს დიდს მანძილზე ტელეფონი ჯერ მთელს ევროპაში არსად არის.

* * *

სწორედ რომ ძნელი წარმოსადგენია ის მოძრაობა ხალხისა, რომელიც ინგლისის სატახტო ქალაქ ლონდონშია. ამ უზარმაზარ ქალაქის ყველა კუთხიდგან ყოველ დღე დილით სიტიში მიდის $1^{1}/_{2}$ მილიონი ნოქარი და საღამოთი ბრუნდებიან თავიანთ სახლებში. ამ ჟამად ლონდონში გამართულია 130 სადგური რკინის გზისა. ერთი ასეთი სადგური, ვატერლოოსი, დღეში 1,000 მატარებელსა ჰგზავნის ყველა მხარეს. რაღა თქმა უნდა, რომ მატარებლები ერთი მეორეს ცოტა ხნის განმავლობაში მისდევენ თანა, მაგრამ რკინის გზათა საქმე ისე კარგად არის მოწყობილი ლონდონში, რომ მატარებლები ერთმანერთს არ დაეჯახება ხოლმე და არც უბედურება რამ ჰხდება. ამ უკანასკნელ ხუთის წლის განმავლობაში შეგროვილ სატატისტიკო ცნობებიდგანა სჩანს, რომ ორთა შუა რიცხვით წელიწადში 900 მილიონი კაცი დაჰყავს ლონდონის რკინის გზებს.

* * *

ინჟენერებს გამოუანგარიშებიათ, რომ ზღვა ყოველ წელიწადს ორის ფუტის სიმაღლეზე ჰფარავს ინგლისის აღმოსავლეთს მხარეს. ნორფოლკსა და სუფოლკში წყალმა სრულიად დაჰფარა რამდენიმე სოფელი, რომლებიც ზღვის ნაპირას იყო გაშენებული. იგივე მოხდა კონტსა და სუსეკსში და ქალაქი დილი-კი ჰლამის ჩამოიქცეს. ეს ქალაქი გაშენებულია კლდეზე, რომელსაც ძირს უთხრის ზღვის ტალღა.

* * *

ქალაქ გრაცის ერთს სამკურნალოში ჯარა ექიმს ნიკოლადის მოჰგვარეს ექვსის წლის ყმაწვილი, რომელსაც მოჰრილი ჰქონდა მარჯვენა ხელის ცერი. ჯარა ექიმმა ნიკოლადიმ ბავშვის ხელი მიაბა მარჯვენა ფეხს და მერე ხელის ცერის ადგილას მიაკერა ფეხის ცერი და ისიც ისე ოსტატურად, რომ ახალი ცერი ისევე ვარგა და მუშაობს თურმე, როგორც უწინდელი ცერი მუშაობდა და მოძრაობდა.

* * *

ინგლისელები სრულებით აღარა ხუმრობენ და განზრახვა აქვთ რკინის გზების ცხენებს თავზე ჩალის ქუდები დაჰხურონ: ბორდოდგან ინგლისის ელჩი იუწყება რომ ეხლა იქაურ რკინის გზის ცხენებს ყველას ჩალის ქუდები ჰხურავთ თავზე. უწინ დღე არ გავიდოდა, რომ ბორდოში მზეს 12 ცხენისათვის მაინც არ დაეკრას, ეხლა-კი არც ერთი აღარ იხოცება ამ მიზეზის გამოვო. ცხენებისათვის ჩალის ქუდებს აკეთებენ ეხლა სუტანში.

საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი: ნდ)

(დასასრული *)

აქ ჩამოთვლილნი არიან სამცხე-საათაბაგოს მფლობელნი. ღდის იმედიო, ამბობს მემატიანე, იყო ჩქუით სულელი და უღვთო. იგი გარდაიცვალა 1491 წ. ყვარყვარე (1487—1500 წ.) ძლიერი კაცი იყო. მის დროს ერთი მესხი—გაჭარი ნუხს იყო აბრეშუმის საყიდლად. მას წაეჩხუბა ნუხელი გაჭარი და სცემა. მესხი დამუქრა, ჩვენი ათაბაგი გადაგიხდისო. ნუხელი უფრო გაჯავრდა, კვლავ სცემა და გააგდო ამ სიტყვებით: „არ მიმიას ყური სამსჯვლითა ღუქანსა ჩემსა და მიცეს წიხლი დარბაზსა ამას ჩემსა ათაბაგმან შენმან ამისთჳს!“ მესხი-გაჭარი დაბრუნდა და ათაბაგს შესჩივლა. ყვარყვარემ დაარჩია 500 ცხენოსანი და წავიდა ნუხს, დაქადებულ გაჭარს ყურიც მიუმსჭვალა, დარბაზსაც მიახვთქა და მესხელ გაჭრის ქონებაც წაართვა და დაბრუნდა, უარაია გამოკლდო და მუხრანით გამართა სამცხისაკენ. გარნა ციცი ციციშვილმა გზა გადუღობა და მროველ ეპისკოპოსის პირით შეუთვალა: „ანუ მოკვედ და მორჩილ ქმენ მეფესა ჩვენსა ანუ შეგიპყრობთ, რამეთუ ხელთა შინა ჩვენთა ხარ.“ ყვარყვარე ორივეზე უარს ამბობდა. მაშინ მროველმა უთხრა: „არა უწყი, რამეთუ მალი აღმართსა ხნავს!“ შეიქმნა სასტიკი ბრძოლა. გაიმარჯვა ათაბაგმა და მტრები გააქცია. მერე ათაბაგის მხედრებმა მროველს თრევა დაუწყეს და თანაც კუზნებოდნენ! ,,უკეთუ ხნავს მალი აღმართსა, ნებამ დაფარცხოს თავდაღმართიო''.

მზეჭაბუკი, შვილიშვილი ამ ყვარყვარესი, ძლიერი კაცი იყო და ფრიად განავრცო თვისი სამფლობელო. ამ მზეჭაბუკს ,,დიდი'' იმიტომ ეწოდა, ამბობს მემატიანე, რომ ,,დღეთა მის თა არა აღფრინდა ქათამიცა უსამართლოდ სათაბაგოსა შინა''.

აი ეს მზეჭაბუკ დიდი მოხსენებულია ამ დავითნში, რომელიც გადაწერილია იმ დროს, როდესაც იგი ჯერ ბეთანიშვილი იყო (გაათაბაგდა 1502 წელს).

ფურც. 165 წარწერა მოგვითხრობს თავგადასავალს ამ წიგნისას.

მე ფრიად ცოდვილმან. პაეკავასძემან. როსტევან: აგარიანთა კელისაგან. გამოვიკსენ. და ვიყიდე დავითი. ესე: სულისა ჩემისა სამლოცველოდ და ცოდვათა ჩემთა. შესანდობელად. ჩემითა ალალითა საქონლითა. აწ ვინცა მიემთხვვნეთ. და ანუ იკითხვიდეთ. ჩემ ცოდვილისათჳს. შენდობასა. ჰბრძანებდეთ. რათა ოფალმან ღმერთმან თქუენცა შეგინდვნეს:.

უკანასკნელს ფურცელზედ (ფურც. 166) სწერია ანდერძი გიორგი მთაწმინდელისა.

ანდერძი:. წმიდისა:. გიორგი:. მთაწმიდელისა:. .:. .:.

წმიდანო და ღმერთ შემოსილნო მამანო და ძმანო. რომელნიცა წმიდათა ამათ დავითთა მიემთხვვნეთ: ესე საცნაურ იყავნ ყოველთა. რამეთუ ფრიადითა იძულებითა. წმიდათა და სულიერთა მამათა ჩემთაჲთა ვთარგმანენ ესე დავითნი ახლად ბერძულისაგან ქართულად:. მე გლახაკმან უღირსმან გიორგი. ხუცეს მონაზონმან. ფრიადითა პირითა და რუდუნებითა. თჳთ იცის ღმერთმან მრავალთა ბერძულთა და დავითის თარგმანთაგან შევკწამებია. ფრიადითა გამონულილვითა და გამოძიებითა:.

აწ გევედრები ყოველთა. რომელნიცა მიემთხუივნეთ წმიდათა ამათ დავითთა. რათა ჩუენთჳს ლოცვაჲ ჰყოთ: და ვინ სწერდეთ ვითა აქა ჰპოთ ეგრეთვე შეუცვალებლად დასწერდეთ: ნუცა ჩაურთავთ ნუცა დააკლებთ:. ჩუენ რომელი ჯერ იყო ჩაგვირთავს: და რომელიც ჯერ იყო დაგვკლია: ვითა ჩუენსა ენასა მოვიდოდა. და წესი საქმისა ეძიებდა, ნუცა დონ ანსა დააკლებთ ნუცა რამეთუსა:.

და ესე ეგების გონიერისაგან გულის კმის ყოფად. რომელ იგი დონ ანი ჩუენცა ვიცოდით. და თუმცა რას ავნებდა გინა იგი გინა სხუაჲ რომელიცა სიტყუაჲ. არა დაუტეობდით არცა აღმოვჴოცდით: ხოლო უკუეთუ ვინძი ამას ჩუენსა, შრომით და რუდუნებით ქმნილისა. და ყოველითა ჭეშმარიტებითა სავსესა ნაშრომსა და აღწერილსა არა ჯერ იჳოს.—

და კე იცოდის:. ანუ ღარ, გინა ოტი *): ანუ ღმერთი და ოფალი: გინა თუ რიტორიკა იყოს ანუ ფილასოფოსი მაშა ჩუენსა ნაშრომსა ზედა ნუ ბრძნობს. ახლად თჳთ ვითა გინდა. თარგმნნეს სხუანი დავითნი. არას ვზრუნავ: და თუ ქართულთა დავითთა დაიწერდეს ჯერი აქუს და კურთხევაჲ. რომელმან კულა დავითნი გინა ზაკუთ. იძალოს გინა ესე მრავლითა სისხლითა თარგმნილი წინა დაიდვას და მოსარყუნად და ზე ქუე ქცევად დაუწყოს სასჯელი მიჰკადენ დღესა მას საშინელსა სასჯელისსა: და ვინ ამა ჩუენთა დავითთა დასწერდეს. და ესე ჩუენი დაწერილი ანდერძი არა დაწეროს ღმერთსა მან გასცეს პასუხი: უკუეთუ მე გლახაკმან ესე ოდენი პირი ვნახე: და ესე უსასყიდლო მარგალიტი არა დავიცონე აღწერად. განმანათლებელად მკითხველთა და მსმენელთა, მას ამა ორთა სიტყუათა დაწერა რად ხარ აც:—

და წმიდასა მამასა ეფთჳმეს ნუ ვინ იმოწმებს: წმიდამან მამამან დავითი თარგმანა: და მწერალსა ვისმე მისცა დაწერად. და მან განრყუნა და უკმარ ყო. და მიერითგან სხუაჲ არღარაჲ თარგმნა. არამედ ქართულნი დავითნი თანა ესხნიან. და სადაცა სიტყუაჲ ეკმარებოდის მუნით იწამის. და ამათისა ჭეშმარიტებისა მოწამედ. და სიმართლისა მყავს ყოველი საბერძნეთი და ყოველნი ბერძულნი დავითნი. ვის არა ჰრწმენეს შეაწამენ.

გიორგი მთაწმინდელს რომ ბევრი უშუშავნია დავითნისა და სახარების გადმოღების დროს, ამას ამტკიცებს, სხვათა შორის, წარწერა ერთის ტყავზედ ნაწერ სახარებისა (№ 257), რომლის ბოლო სიტყვაობა გადმოგვცემს: „სახარებასა მართალსა და უფროჲს მზისაჲ ბრწყინვალესა ახლად განწმენდილსა წმიდისა მამისა ჩუენისა მიერ გიორგი მთაწმიდელისა, რომელსა შინა არა არს ერთიცა ასო მრუდი და ნაკლული და არცა მეტი“.

მ. ჯანაშვილი

---

*) ივ. „ივერია“, № 229

*) ეს სიტყვები ბერძნულია: კე (kal)=და, ღარ (gar)=რამეთუ, ოტი (oti)=ვინაჲდგან.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

27 ოქტომბერი

იალტა. აქ მოვლენ კონსტანტინეპოლიდგან ოსმალეთის საგანგებო დესპანნი: საგანგებო ელჩი თურხან-ფაშა, სულთანის ფლიგელ ადიუტანტი პოდპოლკოვნიკი განდი-ბეი და მდივანი აგირს-ეფენდი. დესპანნი გამოგზავნილ იქმნენ სულთანის მიერ, რათა ხელმწიფე იმპერატორს სალამი მიუძღვნან.

პეკინი. სადიპლომატო კორპუსმა გარდასწყვიტა მოსთხოვოს ცუნგ-ლი-იამენს კანგ-პეჩილიის პროვინციიდგან 13—15 ნოემბრამდე ჯარის გაყვანა. ამასთან ცუნგ-ლი-იამენმა უნდა დაასახელოს ის ადგილი, სადაც ჯარს გადაიყვანს. ელჩები ემუქრებიან, თუ მოთხოვნილება სისრულეში არ მოიყვანეთ, ღონისძიებას ვიხმართ უზრუნველ ვყოთ რკინის გზით მიმოსვლა პეკინსა და ზღვის ნაპირს შორისო.

ლონდონი. დევონშირის სამხედრო ოლქის ჯარმა ბრძანება მიიღო შეიარაღდნენ და მოემზადნენ.

ბეირუტ. იმპერატორმა მეუღლითურთ ინახულა ქალაქი, რომელიც ამის გამო მორთული იყო.

პარიჟი. პალატამ გადასწყვიტა ხვალ განიხილოს შეკითხვა ფაშოდის შესახებ. სენატმა გადასწყვიტა ხუთშაბათს განიხილოს დელონის წინადადება ღონისძიებათა შესახებ, რომელიც საჭიროა მიღებულ იქმნას, რათა ჯარს შეურაცხყოფა ააცდინონ.

[illegible]. პრინცი ოლდენბურგისა [illegible] ანდში მოვიდა.

წერილი რედაქციის მიმართ

დიდს მადლობას ვუცხადებ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას, რომელმაც გამოგზავნა ჩემდამო რწმუნებულის სასწავლებლისათვის 5 ცალი ბუნების-კარი, ღირებული 4 მან. და ბლალოჩინს მღვდელს იუსტინე მომფორიას, რომელმაც შემოსწირა ამავე სასწავლებელს ქართული მოძრავი ანბანი, ღირებული 1 მან.

ზედამხედველი ტობანიერის ორ-კლასიანი სასწავლებელისა ვლადიმერ ნაცვლიშვილი

—

თქვენის გაზეთის მე-225 №-ში დაბეჭდილია კორესპონდენცია დუშეთიდგან, რომელშიაც ავტორს შეცდომითა აქვს მოყვანილი ზოგიერთი ცნობა დრუჟინის აფიცრის სოკოთი მოწამლის შესახებ და ამიტომ უმორჩილესადა გთხოვთ მათ გასწორებას. სოკო ტყიდგან მიცვალებულის მოსამსახურემ-კი არ მოიტანა, როტიდგან ჯარის-კაცები წასულიყვნენ ტყეში კოწახურის საკრებად, ეპოვნათ იქ სოკო და იმათ მოეტანით; ეს მოხდა ამ თვის 15-ს-კი არა, ამ თვის 14-ს. მოტანილი სოკო მოეხარშათ და ეჭამათ თვით აფიცერს და მთელ იმის სახლობას იმავ დღეს ვახშმად და არა სადილად: მე მაცნობეს ეს ამბავი და დამიბარეს საშველად მხოლოდ მეორე დღეს, ამ თვის 15-ს, დილის 9 საათზედ.

ექიმი გრ. გაბაშვილი

განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკი

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ მამულების გასყიდვის განცხადებანი, რომელიც დაბეჭდილი იყო 22 ოქტომბერს გაზეთ „კავკას“-ის მე-278 ნომერში და 23 ოქტომბერს გაზეთ „ივერიის“ მე-226 ნომერში, შეცდომა მოხდა, სახელდობრ იქ, სადაც განცხადებულია „სოფლის მამულები“, რომლებზედაც გაცემულია სანკრმლივ ვადიანი სესხი“, დაბეჭდილია ,,ისცამანოვი გრიგოლ სოლომონის მე და იაგორ პეტრეს მე“, უნდა იყოს მხოლოდ ,,ისცამანოვი გრიგოლ სოლომონის მე“, და გამოტოვებულია შემდეგი მამული, რომელიც აგრეთვე გასასყიდათ დანიშნულია დადებულის გარდასახადის შეუტანლობისა გამო:

კალაცოზოვისა, ალექსანდრე ნიკოლოოზის ძისა და გერცოვისა გერონტი გრიგოლის ძისა: სახნავი და სათოვარი ადგილები და ტყე. მიწა ზომით 230 დეს. 520 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბ. ბორჩალოს მაზრ. სოფელ ქვემო-წერაქვთან.

(1—6.—1)

ТОВАРИЩЕСТВО

Брокаръ и К°.

ИЗВѢСТНОЕ СВОИМЪ КАЧЕСТВОМЪ

УСОВЕРШЕНСТВОВАННОЕ

ГЛИЦЕРИНОВОЕ МЫЛО.



(11—მ.—4)

ДАРОМЪ РАЗДАЮТСЯ ПОРТРЕТЫ

писанные карандашомъ-верескледомъ

Чтобы распространить въ Россіи свои прелестные портреты, писанные Карандашомъ-Верескледомъ, АРТИСТИЧЕСКОЕ ОБЩЕСТВО ПОРТРЕТОВЪ въ Парижѣ СОВЕРШЕННО БЕЗПЛАТНО напишетъ всякому читателю или подписчику нашей газеты портретъ Карандашомъ-Верескледомъ большой цѣнности. Для того это объявленіе должно быть отрѣзано и прислано вмѣстѣ съ Вашею фотографіею, по которой Вашъ портретъ долженъ быть написанъ, въ опредѣленный 25-дневный срокъ, считая съ настоящаго числа журнала, и ежели лицо предложитъ свою готовность рекомендовать наше Общество между своими родственниками и знакомыми. Просимъ писать четко Вашу фамилію и адресъ на спинкѣ фотографіи и прислать ее черезъ почту подъ слѣдующимъ адресомъ: Mon TANQUEREY, Directeur de la SOCIÉTÉ ARTISTIQUE DE PORTRAITS, 9, rue de St-Pétersbourg, Paris (France) — Парижъ (Франція). — Ваша фотографія будетъ Вамъ возвращена безъ поврежденія вмѣстѣ съ большимъ портретомъ, какъ только послѣдній будетъ готовъ.

(11—მ.—3)

Дозволено цензурою, Тифлисъ 27 го Октября 1898 г

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე